ტფილისი

№ 21

პარასკევი, 29 იანვარი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 21

პარასკევი, 29 იანვარი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დაიბეჭდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

## სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებულით ანუ ქრისტომატიით, რომელიც ორ-ნაწილად არის შემდგარი.

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ და სახმარებლად სათავად-აზნაურო სკოლებისა' სასულიერო სასწავლებლებისა, სათსტატო და სამართლ-მადიდებლო სემენარიებისა და დედათა საეპარქიო სკოლებისათვის.

შედგენილია კირიონ ალავერდის ეპისკოპოსისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ.

მოკლე შინაარსი სიტყვიერების თეორიისა: წინასიტყვაობა.—შესავალი.—თეორია ენისა ანუ სტილისტიკა.—პროზა ანუ თეორია პროზისა.—თეორია პოეზიისა.—პოეზია საეპიკო და სალირიკო.—სადრამო პოეზია.

მოკლე შინაარსი სალიტერატურო ნიმუშების კრებულისა: ნაწილი I. აღწერანი მარტივნი და მხატრობითნი.—მგზავრის წერილები.—მოთხრობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი.—მსჯელობითნი თხზულებანი.—საორატორო პროზა: მჭევრმეტყველება საპოლიტიკო, სახოტბო და სასულიერო.

ნაწილი II. საეპიკო პოეზია.—საერო ეპოსი.—ესკიზი, ამბავი და მოთხრობა.—იდილიები, იგავ-არაკნი და ბალადები.—სალირიკო პოეზია: სატირა, ოდა, ელეგია, სალირიკო ლექსნი, ლექსნი, დაწერილნი საერო კილოზედ, ხალხურნი ლექსნი, ჰიმნი, მადრიგალი, ეპიტაფია, ეპიგრამა. (ამ უკანასკნელს განყოფილებაში მოთავსებულია, სხვათა შორის, საუკეთესო სალირიკო ლექსები ჩვენის პოეტებისა).

მთლად წიგნი, ესე იგი სიტყვიერების თეორია და დამატება (ქრისტომატია) ორ ნაწილად, საკმაოდ მოზრდილის ტანისაა და შეიცავს 640 გვერდს ანუ სტამბის $20^1/_2$ თაბახს და ჰღირს

### ერთი მანათი.

წიგნის მაღაზიებს და საზოგადოდ ყველას, ვინც ათს ცალზედ ნაკლებს არ იყიდის ნაღდს ფულზედ, 20% დაეთმობა.

საწყობი წიგნისა „წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაშია. იქვე ისყიდება ახალი ქართული წიგნი

უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი

თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ.

ფასი სამი შაური. (10—8)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ხაჯასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ჩ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროთერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ)

პარასკევს, 29 იანვარს, ტფილისის „კრუჟოკის" დარბაზში გაიმართება

## ბალ-მასკარადი

ავლაბარში დაარსებულ საბავშვო სახლის სასარგებლოდ.

დასაწყისი საღამოს 10 საათზე.

ბილეთის ფასი 2 მან.

(3—მ.—3)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ნადვორნი სოვეტნიკობა—სტავროპოლის გუბერნიის და თერგის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის საგანგებო საქმეთა მოხელეს სამადაშვილს.

დამტკიცებულ იქმნა კოლეჟსკი რეგისტრატორის ხარისხში სოხუმის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს წევრი კლდიაშვილი.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით ტფილისში არსდება სამი კომიტეტი იმის შესახებ მოსალაპარაკებლად, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს კავკასიამ 1900 წელს პარიჟის მსოფლიო გამოფენაში. ერთი კომიტეტი—მეურნეობის მინისტრის რწმუნებულის ბ-ნ მედვედევის თავმჯდომარეობით—სასოფლო მეურნეობისა—მეორე—მთავარ-მართებლის საბჭოს წევრის ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეის თავჯმდომარეობით—საქარხნო და შინა-მრეწველობისა და მესამე—კავკასიის სამთო ნაწილის უფროსის თავმჯდომარეობით—სამთო მრეწველობისა.

*** გუშინ, 28 იანვარს, ქალაქის გამგეობას წარედგინა თხოვნა ტფილისის საბრეშუმო სახელოსნოს პატრონის ბ-ნ სოკოლოვისაგან. ბ-ნი სოკოლოვი სთხოვს ქალაქის გამგეობას დახმარება აღმომიჩინეთ და ერთი სტიპენდია დამიარსეთ, როგორც მოიქცა მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო, რომელიც ყოველ წლივ მაძლევს 300 მანათს 3 სტიპენდიისათვისაო. ამ სტიპენდიებით სარგებლობენ სამის გლეხის შვილიო.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ქალაქის მოურავმა და გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არღუთინსკიმ მათ შორის მომხდარ უთანხმოების განხილვა მიანდვეს გამგეობის დანარჩენ სამ წევრს, ან იმათ, ვისაც ეს წევრები დაასახელებენ. გამგეობის წევრებს ხოსროევს, თავ. ჩერქეზიშვილს და შესტაკოვს უკვე ჰქონიათ ამის შესახებ ლაპარაკი და დაუდგენიათ ხსენებულ უთანხმოების განხილვა მიანდონ ნ. პ. სმიტენს, თავ. ვ. ს. მიქელაძეს და პოლკოვნიკს ვ. ნ. ივანენკოს, რომელნიც უკვე მიუწვევიათ ამ საქმისათვის. როგორც ადგილობრივი რუსული გაზეთები იუწყებიან, ბ-ნთ სმიტენს, მიქელაძეს და ივანენკოს თანხმობა განუცხადებიათ.

## ფელეტონი

### საქართველოს მეფე წმ. დავით აღმაშენებელი

(† 1089—1125 წ.წ.)

(დასასრული *)

დავითმა 1122 წელს საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი, რომელიც ოთხასის წლის განმავლობაში მაჰმადიანთა ხელში იყო, იმათის ბატონობისაგან განათავისუფლა და გახადა საქრისტიანო სამეფოს სატახტო ქალაქად და ქრისტიანობის შუაგულად მთელს კავკასიაში...

ისეთს მტკიცე ნიადაგზედ და საფუძველზედ დამყარებულ იქმნა ქრისტიანობის საქმე ტფილისში, რომ ამ ქალაქის დავითისაგან აღების შემდეგ, მაჰმადიანობას აქ აღარ უხეირნია და ვეღარც გაბატონებულა... თუმცა, მართალია, მაჰმადიანობის ტალღები ამის შემდეგაც მოხვდა საქართველოს განაპირა ადგილებს, მაგრამ შუაგული ამ საქრისტიანო ქვეყნისა, მაინც იესო მაცხოვრის სწავლით განმსჭვალული დარჩა და შავთა დროთა ვერ მოსპეს იქ სახარების სწავლა... საქართველოს შუაგულში მაჰმადიანთა ნახევარ-მთვარე ამის შემდეგ ყოველთვის იმყოფებოდა იესოს ჯვარის კვარცხლ-ბეკთან და ვერ შესძლო მას გათანასწორებოდა...

ტფილისი ამის შემდეგ ყოველთვის საქრისტიანო ქალაქად ითვლებოდა და ნამდვილადაც ასე იყო; ის დიდის სიფაქიზითა და სიფრთხილით იფარავდა იმ სწავლა-მოძღვრებას, რომლის სხივი უნდა მოეფინოს მთელს ცის-ქვეშეთს... დავითმა თვისი ძლევა-მოსილის მარჯვენით სომხებიც დაიხსნა თათართა ბატონობისაგან და მათი სატახტო ქალაქი ანისი 1124 წელს საქრისტიანო ქალაქად გაჰხადა... ამ ქალაქში სომხებს დიდებული საკრებულო საპატრიარქო ტაძარი ჰქონდათ, რომელიც თათრებმა მეჩეთად გადააქციეს და სამოცის წლის განმავლობაში შიგ თათრული ლოცვა გაისმოდა... დავით აღმაშენებელმა უბრძანა სომხის სამღვდელოებას ეს ტაძარი ეკურთხებინათ და კვლავ საპატრიარქო ტაძრად იქმნა გადაქცეული...

ერთის სიტყვით, დავითის ღვაწლის ჩამოვთლა ჩვენს მოკლე წერილში ყოვლად შეუძლებელია. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს დიდ-ბუნებოვანი გენიოსი მეფე გარეშე საქმეებში, მტერთან ომებში სხვა კაცთაგან შეუდარებელი იყო.

დავითი იყო მოღვაწე არა აღსაყვავებლად მხოლოდ ჩქარა წარმავალის ხორციელის ცხოვრებისა, არამედ მოღვაწე აღსაყვავებლად სულის შინაგანთა სიკეთეთა, სულის შინაგანთა ნიჭთა, რომელნიც ღვთის მიერ აქვს მიცემული კაცს, როგორც შექმნილს „ღვთის ხატად"... ეს სიკეთენი სულისა, ეს სულის ნიჭნი კაცის მისწრაფება შეაგნებად ჭეშმარიტებისა კეთილისა და სიმშვენიერისაა, რაიც სარჩულად უდევს ქრისტიანობრივს სარწმუნოებას და ზნეობას. „არა თავს იდვა დავითმა, რათა არა უმეტეს მოღვაწე იქმნეს განმრწყინვებად შინაგანთაცა სიკეთეთა სულისათა, ვინაიდგან ესენი დაუსრულებლობასთანა ღვთისასა თანა დაუსრულებელ არიან"... და მართლაც კაცის უკვდავი სული არ განიშორებს არასოდეს ამ სულიერთა სიკეთეთა,—ეს სიკეთენი იმას თან გაჰყვება საქაოდგან საიქიოს და მისს სამუდამო კუთვნილებას შეადგენს... აი ამისთვის სულის ეს სიკეთენი ისეთივე დაუსრულებელია, როგორც თითონ ღვთაება, წყარო ამ სიკეთეთა... სულის შინაგანთა სიკეთეთა აღყვავების საქმეს დავით აღმაშენებელმა მკვიდრს საფუძვლად თვის მიერ მოწვეული რუის ურბნისის კრება და მისნი დადგენილებანი დაუდო. მას მშვენივრად ესმოდა ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ ვერც ერთი სახელმწიფო, ვერც ერთი ერი ვერ მიაღწევს ამ სოფლად ბედნიერებას, რამდენადაც ეს შესაძლოა ხორც-შესხმულის ადამიანისთვის, უკეთუ პირველის და მეორის ცხოვრებაში შებღალულ-შელახული იქმნება სარწმუნოება და ზნეობა. სწორედ სარწმუნოებისა და ზნეობის განსამტკიცებლად ქართველს ხალხში და აღმოსაფხვრელად მისს ცხოვრებაში სხვა-და სხვა უწესოებათა, უთანხმოებათა, ცოდვათა და ბიწიერებათა დავითმა მოიწვია საეკკლესიო კრება 1103 წელსა, რომლის მეთაურად დანიშნა სრულიად საქართველოს პატრიარქი იოანნე, ყოვლად ღირსი მღვდელ მთავარი, ცნობილი თვისის მტკიცე სარწმუნოებითა და მაღალის ზნეობით. ამ კრების დადგენილებანი გვიხატავს ქართველთა უკიდურესს ზნეობითს სიწამხდრეს, რამაც ისინი უფსკრულის პირს მიიყვანა და რომელშიაც ჩავარდნიდგან დაიხსნა ისინი დავით აღმაშენებლის კურთხეულმა მარჯვენამ...

თუმცა ქართველების უმეტესობა იმ ჟამად გარყვნილების მორევში სცურავდა, მაგრამ იმათი საუკეთესო უმცირესობა გამსჭვალული იყო მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოებისა და ზნეობის სიყვარულით, შეგნებული ჰქონდა ცხოვრების საუკეთესო იდეალები, მხნედ ებრძოდა საზოგადოების ზნეობრივად დაცემას და სცდილობდა თვისი სამშობლო ჭეშმარიტების გზაზედ დაეყენებინა. ამ უმცირესობის ცხოვრების დროშაზედ დაწერილი იყო შემდეგი ღრმა-აზროვანი სიტყვები, რომელიც წარმოსთქვა რუის-ურბნისის კრებამ, როგორც მტკიცე აღსარება სარწმუნოებისა: „არა გეცრუვნეთ შენ სიწმიდით, მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკკლესიაო, და არცა გაგცეთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლ-მადიდებლობაო". რუის-ურბნისის კრებამ კარგა ხანს გასტანა და, ღრმა დაკვირვებისა და გამოკვლევის შემდეგ, დასწერა „მეგლი წმიდისა სარწმუნოებისა", რომელსაც სახელად „მეგლის წერა ჰქვიან". ამ კრების დადგენილებანი მიაკრეს მცხეთას და რუისს სვეტებზედ საცოდნელად ხალხისა და მისდა სახელმძღვანელოდ. ამ კრებაში მონაწილეობა მიიღეს ქართველის ერის წარმომადგენლებმა სასულიერო და საერო წოდების გვამთა, მეფემ, თავად-აზნაურობამ, თეთროსანმა და შავოსანმა სამღვდელოებამ, მეუდაბნოეთა, განდეგილთა, გლეხებმა, მოხუცმა და ახალგაზდამ, მამრობითმა და მდედრობითმა სქესმა, დიდმა და მცირემ და საზოგადოდ ყველამ, ვისაც გულში უღვიოდა ნაპერწკალი საუკეთესო ცხოვრებისა, ვისაც ჰსუროდა და სწამდა სამშობლოს და ქრისტიანობის ბედნიერი მომავალი და ვისაც გათვალისწინებული და შეგნებული ჰქონდა თანამედროვე ცხოვრების სიწამხდრე-სიდუხჭირე... ამ კრების დადგენილებანი ხმაა მთელის ქართველის ერისა, მისის გულის სიღრმი-

*) იხ. „ივერია" № 20.

ბიათ,—განვიხილავთ მაგ უთანხმოებასა.

*** შარშან 1898 წელს იმის გამოსარკვევად, თუ ფილოქსერამ რამდენად ზარალი მიაყენა ქუთაისის გუბერნიის ვენახებს, ამ გუბერნიაში გაგზავნილ იქმნენ აგრონომები ტიმოფეევი და ტარატინოვი. როგორც ამ აგრონომების მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, ფილოქსერას საზოგადოდ დიდი ზარალი მიუყენებია ვენახებისათვის. ამ სენისაგან გადარჩენილა ვენახების საზოგადო რიცხვიდგან მხოლოდ მე-$^1/_4$-$^1/_5$. უფრო ნაკლებ დაზარალებულა ის ვენახები, რომელნიც გუბერნიის აღმოსავლეთ ნაწილებში და მდ. ყვირილის მარჯვენა მხარეს მდებარეობენ. იმ ადგილებში, სადაც წინად ვენახები იყო, მცხოვრებელთ სიმინდი და ბამბა დაუთესიათ. უფრო ნაკლებად ვნებს ფილოქსერა „ციცკა“-სა და „მწვანეს“, თუმცა ბევრგან ეს ვაზებიც გაუნადგურებია. საზოგადოდ-კი, ბ-ნ ტიმოფეევისა და ტარატინოვის აზრით, ფილოქსერამ იმდენად გაიდგა ფესვი ქუთაისის გუბერნიაში, რომ მევენახეობა იქ საზარალო ხდება. მცხოვრებელნი უფრო რწმუნდებიან, რომ საჭიროა ამერიკულის ვაზის გაშენება. ამ ჟამად უკვე ბევრმა მიჰყო ხელი ამერიკულ ვაზის გაშენებას.

*** როგორც გაზ. „კასპი“ იუწყება, ჩვეულებრივი ქართული საღამო ბაქოში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და ადგილობრივ ქართულის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ გამართული იქმნება 19 თებერვალს. აზრადა აქვთ ამ საღამოსთვის მიიწვიონ ტფილისიდგან ქართველი არტისტები.

*** გაზ. „კავ.“-ი იუწყება, რომ კავკასიის მთავარ მართებლის საბჭოს წევრი კ. ვ. იაკიმოვი თანამდებობას თავს ანებებსო.

*** „ახ. მიმ.“-ი იუწყება, რომ კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით, მეურნეობის მინისტრის რწმუნებულის ი. ს. მედვედევის თავმჯდომარეობით უნდა შესდგეს განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც მინდობილი ექმნება შინა-მრეწველობის შესწავლა კავკასიაში და იმ ზომების შემუშავება, რომელთა შემწეობით შესაძლებელი იქმნება ამ მრეწველობის განვითარება-გაძლიერება. ამ კომიტეტში კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელიც იქმნება.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ 12 იანვარს სადილი იქმნა გამართული, რომელსაც დაესწრნენ სხვა-და-სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებად ნამყოფნი. სადილზედ წაკითხულ იქმნა წესდება ტფილისში განზრახულ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებისა. სადილის გამგენი გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ სადილის დროს სტუდენტთა სასარგებლოდ შეკრებილ იქმნა 104 მანეთი, ამას გარდა მიღებულ იქმნა დ. ზ. სარაჯიშვილისაგან—13 მ. 55 კ., ი. მ. მილიუტინისაგან—10 მან., კ. ვ. აინოვსკისაგან—5 მ., ს. ი. ანანოვისაგან—5 მ., ვ. ე. მელიქისაგან—3, ნ. ვ. ისაკოვისაგან—5 მ., სადილიდგან დარჩა—16 მ. 45 კ., სულ 152 მან. 16 კაპ. ამ ფულიდგან დაუხარჯნიათ: 60 მანეთი მიეცათ ორის სტუდენტისათვის, რომელთაც შეძლება არა ჰქონიათ ტფილისიდგან უნივერსიტეტში წასვლისა, 43 მან. ერთის სტუდენტისათვის სწავლის სასყიდლის გადასახდელად. ფულის გაგზავნაც 48 კაპ. სულ 103 მან. 48 კაპ. დარჩენილი 48 მან. 68 კაპ. მიემატა სტუდენტთა დამხმარებელ მომავალ ფონდს. ამ ფონდში სულ 209 მან. 55 კაპ.

სადილის გამგენი დიდს მადლობას უცხადებენ „ტფილისის კრუჟოკის“ მამასახლისებს, რომელთაც სადგომი უსასყიდლოდ დაუთმეს, გაზ. „კავკასიის“, „ახ. მიმოხ.“-ის, „მშაკ“-ის და „ივერიის“ რედაქციებს, რომელთაც უსასყიდლოდ მოათავსეს განცხადებანი. ამას გარდა გამგენი სთხოვენ მათ, ვისაც ჰსურს რაიმე შენიშვნა წარადგინოს განზრახულ „სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების“ წესდების პროექტის შესახებ, ეს შენიშვნები წარუდგინონ 6 თებერვლამდე ერთ-ერთს გამგეს: ს. ვ. დზერჟანოვსკის, მ. დ. ელბრუსოვს, ნ. ვ. ისაევს, ი. ი. ნოდელს, ნ. გ. სტრუვეს, გ. ა. ტარსაიძეს, ა. ს. ფურცელს, ლ. ზ. სიდელნიკს და ლ. ი. შეგალოვს.

*** ქალაქის გამგეობის წევრად ნამყოფი ხ. ა. კერმიშევი „ახ. მიმ.“-ის სიტყვით, დაუნიშნავთ ამბ. მელიქოვის ნავთის ქარხნების გამგედ ბალახანში.

*** „კავკასის“-ის სიტყვით, ბორჩალოს მაზრის სადახლოს სოფლის საზოგადოებამ მიჰმართა მთავრობას და სთხოვა გაგვანთავისუფლეთ იმ ხარჯისაგან, რომელიც წარსულ 1898 წელს სკოლის შენახვას დასჭირდაო.

*** დიდუბეში მცხოვრებმა, მე-2 გილდიის ვაჭარმა იოსებ ვეტიტაძემ განაცხადა პოლიციაში, რომ ჩემის ქურქლის საწყობიდგან ვიღაც ქურდებს სხვა-და-სხვა ჭურჭელი მოუპარავთო. ქურდებს კედელი გამოუნგრევიათ და ისე შესულან საწყობში. ქურდობის ბრალი ედება ფოტი მათვეიჩუკს, რომელიც პოლიციამ უკვე შეიპყრო და დააპატიმრა.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას გარდაეცა განსახილველად საქმე გორის მაზრის მცხოვრებლის გიორგი ქრისტიაშვილისა, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ 1898 წელს, 26 ნოემბერს ჯოხითა სცემა ამიერ-კავკასიის სააქციზო გამგეობის კანტროლიორს პოზდნევს, რადგანაც ამ უკანასკნელმა აღმოაჩინა, რომ ქრისტიაშვილი საიდუმლოდ სახლში არაყსა ჰხდიდა.

*** 26 იანვარს, კოჯორის ქუჩაზედ მცხოვრებმა აზნაურის ცოლმა პაულინა მაჭავარიანისამ განაცხადა პოლიციაში, რომ დილის 6 საათზედ ჩემის სადგომის აივნიდგან ვიღაც ქურდებმა მოიპარეს სხვა-და-სხვა ტანისამოსი და სამოვარი, სულ 70 მანეთისაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. მატანი,** (თიანეთის მაზრა). თიანეთიდგან 20 ვერსის მანძილზედ აღმოსავლეთის მხრივ მდებარეობს ს. მატანი. სოფელი გაშენებულია კავკასიონის მთის კალთაზედ და უჭირავს 2 ოთხ-კუთხი ვერსი, რომელზედაც მოთავსებულია 400-ზედ მეტი კომლი. თავისის საუცხოვო მდებარეობით, გრილისა და სუფთა ჰაერით, მდიდარის ბუნებით მატანი გაცილებით სჯობია კახეთის ზოგიერთ სოფლებს. პირველის ნახვით კაცს ეგონება, რომ ამაზედ მდიდარი სოფელი არსად უნდა მოიპოვებოდესო, მაგრამ ეს ასე არ არის. ამაზედ ღარიბი სოფელი იქნება ბევრი არ მოიპოვებოდეს. ამის მიზეზი არის მეტის-მეტი სივიწროვე მამულისა სოფლად თუ გარედ და ბოლო წლების მოუსავლობა. ორთაშუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, თითოეულს ოჯახს შეხვდება არა უმეტეს 6 დღიურისა. რომელი ერთი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს გლეხკაცმა 6 დღის მიწით. „ფოსტის“ ფული (2000 მანეთია სოფელზედ) გაუძღვეს, სკოლისას, მღვდლისას, მამასახლისისას, მწერლისას, ჩაფრებისას, გზის-ნაცვლებისას თუ სხვას?!

აგერ მეექვსე წელიწადია, რაც აქ ერთკლასიანი სამრევლო სკოლა არსებობს და შეუძლებლობის გამო სკოლისათვის შესაფერი შენობა ვერ აუგია და ვერც აგებს, უკეთუ სასულიერო უწყება არ დაეხმარება; ეხლანდელი შენობა კი მეტად უხეირო და შეუფერებელია სკოლისათვის. გარდა ამისა, სკოლას არ მოეპოვება თავისუფალი ადგილი, ეზო, სადაც ბავშვებს შეეძლოთ თავისუფალს დროს თამაშობა. ისინი მოკლებულნი არიან თავისუფლად მოძრაობას, და მთელ 5 საათის განმავლობაში სასწავლო ოთახში სხედან...

არა სასურველს მდგომარეობაშია აგრეთვე მასწავლებელიც. ათას გვარ გაჭირვებასთან ერთად ის მოკლებულია თავის დროზედ ჯამაგირის აღებას: იმისი ჯამაგირი საზოგადოებას არ შეაქვს ხაზინაში; სოფელი ირჩევს ფულის ამკრეფელებს, რომლებიც მთელის წლის განმავლობაში ჰკრეფენ სოფელში ფულსა და წვრილ-წვრილად, ორიოდ მანეთობით აძლევენ მასწავლებელს. ხშირად სამი ოთხის თვის ჯამაგირში მასწავლებელი იღებს 6—7 მანეთს, იმასაც დიდის თხოვნისა და ხვეწნის შემდეგ. „რა ვქნათ, შენი ჭირიმე, მამასახლისსა გზის ნაცვალს არ გვაკლებს, ხალხიც მაგარზეა, ფულს არ იძლევა და ჩვენც ძალას ვერ მივატანთო“. ხშირად ჰმართლულობენ ხოლმე თავს ფულის ამკრეფლები. თუმცა კი ასეთი თავის გასამართლებელი საბუთები არ არის ჭეშმარიტებას მოკლებული, რადგანაც ხალხი მართლაც რომ ძნელად იმეტებს მასწავლებლის ჯამაგირს, მაგრამ ბევრჯელ ისეც მოხდება ხოლმე, რომ ეს დალოცვილები (ფულის ამკრეფნი) თითონ იღებენ მასწავლებლისათვის შეკრეფილს ფულს. მაშინ უნდა ადგეს მასწავლებელი და ამათ სდიოს. კიდევ კარგი, თუ ამ დროს არსად გადიყვანეს, როგორც იქნება ამ ფულს აიღებს, მაგრამ თუ გადაიყვანეს, მაშინ ძალა უნებურად უნდა სამუდამოდ გამოეთხოვოს თავისს ორიოდე გროშს.

ა.

---

დგან აღმონახეთქი,—წინააღმდეგობაა გაძლიერებულის ბოროტების მიმართ,—ეს დადგენილებანი — ხმაა თვით სულის წმიდისა და ამ სულის წმიდის ქნარის—ეკკლესიისა.

მოკლედ გავიცნოთ ამ კრების შინაარსი: უღირსი მღვდელ-მთავრები დათხოვნილ იქმნენ და მათ ნაცვლად გამწესებულ იქმნენ ისეთი გვამები მღვდელ-მთავრებად, რომელნიც ცნობილნი იყვნენ თვისის მაღალ ზნეობით და მტკიცე შეურყეველის სარწმუნოებით, ისეთი გვამები, რომელნიც ხორცის და ხორციელ ვნებათა მონებად არ იყვნენ ცნობილნი. ამავე კრებამ განსაზღვრა ასაკი იმ გვამთა, რომელთაც უნდა მიეღოთ ესა თუ ის ხარისხი საეკკლესიო და სამღვდელო სამსახურისა. მღვდელ-მთავრები და მღვდელნი უნდა იყვნენ მცოდნენი საღმრთო წერილისა და საზოგადოდ განათლებულნი გვამნი, რომელთაც უნდა შეგნებული ჰქონდეთ თვისი მაღალი მოწოდება და საფუძვლიანად იცოდნენ თვისის ეკკლესიის სწავლა მოძღვრება. კრებამ უკანონოდ და სჯულის წინააღმდეგად სცნო საფასის და ქრთამის აღება იმ გვამთაგან, რომელთაც უნდა მიეცეთ ესა თუ ის ხარისხი საეკკლესიო და სამღვდელო სამსახურისა. მანვე დიდი ყურადღება მიაქცია საეკკლესიო ჭურჭელთა და სიმდიდრის ხელ-შეუხებლობას, სასძლოს ასაკსა, ქორწინების და სინანულის, საიდუმლოების შესრულების საქმეს, წირვა-ლოცვის წეს-რიგსა, და სხვა-და-სხვა ნაკლულევანებას ქართველის ერთა ცხოვრებისას. საზოგადოდ ამ კრებამ საეკკლესიო კანონების საფუძვლის ძალით გაწმინდა და გააფაქიზა ქართველის ერის ცხოვრება, შეიტანა ამ ცხოვრებაში ახალი ძალა და საშუალებანი, მოჰფინა განახლების შუქი და დააყენა ეს ცხოვრება მტკიცე ნიადაგზედ...

კრების წარმომადგენელნი დიდად აფასებენ დავით აღმაშენებლის ღვაწლსა და შრომას ამ კრების მოწვევის და კეთილ-მოქმედების საქმეში და ქებას უძღვნიან მას კრების სახელით: „სათნო უჩნნა ესენი (კრების მოღვაწენი) მეუფებასა შენსა; განსვენებულ არს ამათ ზედა სიბრძნისა სულთა მდგენელი დავითიანი სული შენი, უმეტესად ბრწყინვალე თვალი ყოვლისა სოფლისა მეფეთა ერთგვამობისათ, რომელი ეგე ჰყაროვან ხარ, ვითარცა სამყარო ხილულისა სოფლისა შორის, საჩინო, ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის... შვენიერ, ვითარცა ვარდი ყვავილთა შორის... ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის... მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის“ და სხვ...

დავით აღმაშენებელმა ისე განამტკიცა საქართველოს ეკკლესია, ისეთს შეურყეველს საფუძვლებზედ დაამყარა ქართველი ხალხის ცხოვრება, რომ ვერავითარმა ძალამ, ვერავითარმა ცდამ აზიელ ბარბაროსებისამ შემდეგს დროებში ვერ შეჰმუსრა საქართველოში ქრისტიანობა, ვერ აღგავა დედა-მიწის ზურგიდგან ქართველთა სახსენებელი... მცირე ქართველი ერი, აღფრთოვანებული და გამხნევებული ქრისტიანობის სიყვარულით, თავ-განწირულად ეომებოდა დავით აღმაშენებლის შემდეგ სელჩუკ-თათრებს, მონგოლებს, ოსმალ თათრებს, სპარსებს, ლეკებს, ჩერქეზებს, ქისტებს და სხვა მრავალ-რიცხოვანს მტრებს ქრისტიანობისას, მაგრამ მან მაინც თვისი ქედი არ მოიხარა მაჰმადიანობის წინაშე. შავმა დროებამ ქართველის ერის ანდამატის გული ვერ შესცვალა; ქართველს, ეკლოვანს გზაზედ მავალს, გარემოცულს მრავალის მტრებით, თვისი გული ქრისტიანობაზედ არ აუცრუვებია, ამ გულში იყო ჩადგმული ქრისტეს ეკკლესიის საფუძველი, ამ გულზედ იყო აღშენებული ეს ეკკლესია, რომელიც ვერ შეჰმუსრეს საქართველოში თვით ბჭეთა ჯოჯოხეთისათა... ის ძალა, რომელმაც დაიცვა და შეინახა ქართველი ერი საშინელ ტანჯვასა და ოხრებათა შორის,—მართლ მადიდებლობითი ქრისტიანობაა, რომელიც თვისს ცხოველ მყოფელს მადლს არ აკლებდა ქართველობას... ქრისტიანობა იძლეოდა ბრწყინვალე სხივებს აღსაყვავებლად საქართველოში სულის შინაგანთა სიკეთეთა, და ამ შინაგანის სიკეთეებით, თვისის ქველობით, სტუმართ-მოყვარეობით, მოწყალებით — ცნობილია ქართველი ხალხი, როგორც ხალხი, რომლის სისხლად და ხორცად გადაიქცა იესოს მცნება ღვთისა და მოყვსის სიყვარულისა. ბევრი ნაკლულევანება ჰქონდათ ქართველთა წინაპრებს, მაგრამ მათს უმრავლესობას ცხოვრების დროშაზედ დაწერილი ჰქონდა ეს დიადი მცნება მაცხოვრისა და შეძლებისა დაგვარად სცდილობდა მისს განხორციელებას ცხოვრებაში...

თუ ქართველმა ქრისტიანობის დროშა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდის უვნებლად და შეუმწიკვლელად მოიტანა, თუ მას შერჩა ამ საუკუნის დასაწყისამდის თვისი ეროვნობა, თვისი ისტორია, თვისი განსაკუთრებული ზნე-ხასიათი,—ეს აიხსნება, სხვათა შორის, იმ გარემოებითაც, რომ დავით აღმაშენებელმა ქართველთა კეთილ-დღეობა და მათი კეთილ-წარმატება ზნეობითის სწავლის საფუძველზედ მკვიდრად და შეურყევლად დაამყარა, ვინაიდგან ის „უმეტესად სცდილობდა გაბრწყინვებისათვის შინაგანთა სიკეთეთა სულისათა, რომელნიც დაუსრულებლობასათანა ღვთისასა თანადაუსრულებელ არიან.“ და რომელნიც აძლევენ თითოეულს ხალხს მტკიცე და შეურყეველს სახსარს არსებობისას, განვითარებისასა და ბედნიერებისას...

ტყუილად კი არ შენიშნავს ამ მეფის მიერ მოწვეული კრება, რომ უღირსმა უსჯულოებამ დაღუპა ასურეთის დიდებული სამეფო, დაამდაბლა და დაამხო სომეხთა და სპარსთა სამეფოები. ურჯულოება, ზნეობრივი სიწამხდრე არა თუ მხოლოდ დასცემს და დაამდაბლებს, ყოველსავე სამეფოს და კერძო ხალხსა, არამედ მათ სახსენებელსაც მოსპობს დედა მიწის ზურგიდგან...

ტყუილად-კი არ იტყვის წმ. დავით წინასწარმეტყველი: „პირი უფლისა მოქმედთა ზედა მკვირისათა მოსპოლვად ქვეყანით სახსენებლი მათი“ (ფსალ. 33).

მაშ ეხლა, როდესაც გავითვალისწინეთ წმ. დავით აღმაშენებლის მაღალ-ზნეობიანი ცხოვრება, მისი კეთილ-შობილური მიმართულება, მისი მხურვალე მისწრაფება, მისი მრავალ-ნაყოფიერი ღვაწლი, რომლის შუქი აწინდელს საუკუნეშიაც-კი გვინათებს ქართველთა, ვეცადოთ ყოვლის ღონისძიებითა და საშუალებით, ამ დიდ-ბუნებოვანის მეფის მსგავსად, უკვდავის სულის შინაგან სიკეთესა აღყვავებას, რასაც მხოლოდ შეუძლიან მოგვცეს ჩვენ საამქვეყნო ბედნიერება და საიმქვეყნო ნეტარება.

ი. ფერაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთი

სასულიერო უწყებას აზრადა აქვს დააარსოს მოსკოვსა და პეტერბურგს განსაკუთრებული სკოლები, სადაც მოსწავლეებს საეკკლესიო სანთლის მომზადება-გაკეთების საქმეს ასწავლიან. ამ სასწავლებლებში მიიღებენ იმ მღვდლებისა და საზოგადოდ სასულიერო უწყებაში მოსამსახურეთა შვილებს, რომელთაც რაიმე მიზეზისა გამო შეძლება არ ექმნებათ სხვა სასწავლებლებში მიიღონ განათლება.

— როგორც „Пет. Вѣд." იუწყება, ამ ახლო მომავალში ფინანსთა სამინისტრო შეუდგება მუშათა გამსესხებელ-შემნახველ კასსების ნორმალურ წესდების შემუშავებას.

— საერო განათლების სამინისტრომ კონკურსი გამოაცხადა სამრეწველო და სავაჭრო სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოების შესადგენად.

— მთავარ-შტაბთან შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც ლაპარაკი ექმნება, როგორც „Кур." იუწყება, აფიცრების ტანისამოსის ფორმის შეცვლის შესახებ.

— მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ აზრადა აქვთ მოახდინონ სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კრება. პროგრამა კრებისა უკვე შემუშავებულ იქმნა. როგორც ამ პროგრამიდგანა სჩანს, კრებას წარედგინება განსახილველად სხვა და სხვა საგნები: ფარმაცევტთა განათლების, მათის მდგომარეობის, შრომის შემსუბუქების და სხვათა შესახებ.

# უცხოეთი

**ვენგრია.** მთავრობასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკება არ დაბოლოვებულა, ჯერ ვერ მორიგებულა ეს ორი დასი და ვერც ისე ადრე მორიგდებიან, როგორც ბევრს ჰგონა წინაზედ. ის-კი ყველასათვის ცხადია, რომ როცა უნდა მორიგდნენ ადრე, გინდ გვიან, მინისტრ-პრეზიდენტი ბარონი ბანფი უთუოდ უნდა გადადგეს სამსახურიდგან. მაგრამ საქმე ის არის, რომ არავინ არ არის მსურველი, რომელმაც მისი ადგილი დაიჭიროს და ქვეყნის მართვა-გამგეობა იკისროს. ჰფიქრობდნენ, რომ კოლომან სელი იკისრებს მთავარ-მინისტრობასო, მაგრამ ეს ხმები არ გამართლდა: სელმა უკვე გამოაცხადა, რომ მე აზრადაც არ მომსვლია ბანფის ადგილი დავიჭირო და ისეთი მძიმე საქმე ვიკისრო, როგორიც ქვეყნის მოვლა არისო. სელს შემდეგ დაასახელეს ლუკაჩი, რომელიც ფინანსთა მინისტრად არის ეხლა, მაგრამ ისიც უარს აცხადებს. პირ-იქითო, ამბობს ლუკაჩი, ფინანსთა მინისტრობისათვისაც უნდა დამენებებია თავი, მაგრამ აქამდისინ მიტომ დავრჩი, რომ იმპერატორს ასე სურდაო.

**საფრანგეთი და გერმანია.** როგორც გაზეთები იუწყებიან, ალჟირის ქალაქ ორანში გერმანიის სამხედრო გემები „Charlote"-ჲ „Stesch" ი მისულა. ზარბაზნების დაცლის შემდეგ, ამ გემებზედ ასულან საფრანგეთის მთავრობის მოხელენი და გემების უფროსებს მისალმებიან. გემების მსახურთათვის უფროსებს ნება მიუციათ ხმელეთზედ გადასვლისა დღით. სამის დღის შემდეგ გემები უნდა წასულიყვნენ ქალაქ ალჟირში.

თავის თავად ამ გარემოებას, ე. ი. იმას, რომ გერმანიის სამხედრო გემები მივიდნენ საფრანგეთის სამფლობელო ნავთ სადგურში, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ეხლა-კი ამას დიდს პოლიტიკურს მნიშვნელობას აწერენ. საფრანგეთ-გერმანიის ომის შემდეგ, გერმანიის ფლოტი მუდამ ერიდებოდა საფრანგეთის ნავთ-სადგურებში შესვლას. პირველი ნაბიჯი გადასდგა პრინცმა ჰენრიხმა, რომელმაც, ჩინეთში გამგზავრების დროს, ისე ახლოს გაიარა თავისის ფლოტით ალჟირთან, რომ მეციხოვნეთ შემთხვევა მისცა მისალმების ნიშნად ზარბაზნები დაეცალათ, მაგრამ ნავთსადგურში კი არ გაჩერებულა. ეხლა ეს მეორე შემთხვევა გერმანიის მხრივ, მაგრამ უფრო გაბედული, რადგან სამი დღე გაჩერდა ორანის ნავთ-სადგურში გერმანიის ფლოტი.

**ოსმალეთი.** ზოგიერთს გაზეთებში გამოქვეყნებულია სომეხთა უკიდურესი მდგომარეობა მცირე აზიაში. რასაც გაზეთები მოგვითხრობენ, იმის ნახევარი მაინც თუ მართალია, მართლა საოცარია, როგორ უძლებს სული ამ ტანჯულ ხალხს. სომეხთა მტანჯველ-მწვალებლებად და გადატაკების მიზეზად ასახელებენ ქურთებს და ჰამიდიეს ჯარის-კაცთ.

ხატკაში აღა მუსტაფას (უთუოდ ქურთი უნდა იყოს) წარსულ ზაფხულის განმავლობაში რამდენიმე ათასი ცხვარი წაურთმევია სომხებისთვის. ხოჩაზში ჰამიდიეს ჯარის-კაცთ 25 სოფელი დაურბევიათ. ჯულამერიქში, რომელიც ვანიდგან სამის დღის სავალზედ არის, ხაჯი ბეგს ქრისტიანეთა 20 სოფელი გაუძარცვავს, და მოსულის ვილაიეტში — სამოც-და-ათი სოფელი. ამავე ბეგს უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში ნესტორიანთა ტომის ხალხისათვის 18,000 სული ცხვარი მოუტაცნია. ამ ორის თვის წინად ჰაჯი-ბეგს ქრისტიანეთა რვა სოფელი დაურბევია ლევანის ოლქში. თურმე მთელი კვირა უნდებოდნენ მისი ქვეშევრდომნი ნადავლის გატანას: ხორბლეულობისას, სახლის ავეჯეულობისას და ეკკლესიების სამკაულისას. ადგილობრივმა მთავრობამ კიდევაც რომ რამე ყურადღება მიაქციოს სომეხთა ძარცვა-გლეჯას, მაინც დიდს ვერას გახდება, რადგან ხონთქრის ნება დაურთველად ჰამიდიეს ჯარის კაცთა მიცემა პასუხის გებაში არ შეიძლება, და რა ადგილიც არის ხონთქრისაგან ასეთის ბრძანების აღება, ეს ხომ ყველასათვის ცხადია.

## სამელიორაციო ბანკი თუ საერო ბანკები?

(ვ. წ—ის წერილის გამო „ივერია" 1898 წ. № 279)

ჩვენის აზრით, სამელიორაციო ბანკს ყოვლის უთქმელად ემჯობინება საერო ბანკები, მარტო იმიტომ-კი არა, რომ პირველი წოდებრივია, ხოლო მეორე საყოველთაო, არა. საქმე ის არის, რომ სამელიორაციო ბანკით მარტო იმას შეუძლიან ისარგებლოს, ვინც ისეთის საქმის განკარგებას მოჰკიდებს ხელსა, რომელიც შეეხება მამულის (მიწა-წყლის) გაუკეთესებას; მაშასადამე, ამ ბანკით ისარგებლებენ მარტო ისინი, რომლებიც მიწა-წყლის მესაკუთრენი არიან და ხალხის დანარჩენი ნაწილი-კი, რომლის რიცხვი იმდენივე იქნება ჩვენში, რამდენიც მიწა-წყლის მესაკუთრე, — სრულიად სამელიორაციო ბანკის მოქმედების ფარგლის გარეშე დარჩება, თორემ ეჭვი არ არის, რომ სამელიორაციო ბანკითაც ისე ისარგებლებენ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებნი, სარწმუნოებისა, ეროვნებისა და წოდების განურჩევლად, როგორც აწ სათავად-აზნაურო ბანკებით სარგებლობენ. მაგრამ, ვიმეორებთ, ისარგებლებენ მხოლოდ დედულ-მამულის მქონენი.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ მე მსურს მეზობლისაგან მამული ვიყიდო, ან მიწა მაქვს და თავ შესაფარი სახლი მინდა ავიშენო, წიგნი ან გაზეთი გამოვცე, სტამბა დავაარსო, სადურგლო ან საჩილინგრო გავხსნა, რაიმე ვაჭრობა დავიწყო და სხვა ათასი საქმე, — რა ჰქმნან და ვის მიჰმართონ ჩვენში ასეთის საქმეთა პატრონებმა?! გვრჩება ერთად-ერთი, პირველ-დროის საშუალება — მივმართოთ ქველ-მომქმედებას, რომელთა რიცხვი ყველგან ფრიად მცირეა, და მოვახშეებს, რომელთ კლანჭებიდგან გამოხსნას დიდი ხანია, თუმცა ჯერ-ჯერობით ამაოდ, ჰლალადებს ყოველი სტრიქონი ჩვენის ბეჩავის ცხოვრებისა.

სულ სხვა არის საერო, სახალხო, ერთის სიტყვით საყოველთაო ბანკი. ასეთი ბანკი სასარგებლოა არა მარტო იმითი, რომ ყველანი ვსარგებლობთ მისით, არამედ, და უმეტესად, იმითი, რომ ასეთის ბანკიდგან ხელ და-ხელ გამოტანილს ფულს ვხმარობთ იმასა და იმ საქმეზედ, რომლის დაწყება ანუ გაფართოვება შეადგენს ჩემს თუ სხვის დღევანდელს ჰირსა და ვარამსა, განურჩევლად იმისა, მამულის განკარგებას შეეხება იგი, თუ სხვა გვარ საქმესა. ამ ორის-სამის წლის წინად მთავრობამ კიდეც გამოსცა ნორმალური (სამაგალითო, სანიმუშო) წესდება ასეთის ბანკისა, საიდგანაც კაცს შეუძლიან გამოიტანოს ფული ყოველის არსებულის საშუალებით, ე. ი. მამულის ან მარტო მისის მოსავლის თუ შემოსავლის, ფასიანის ქაღალდების, თუ ნივთების, ან სხვა მის გვარ რისამის დაგირავებით (როგორც მახსოვს, არა უმეტეს ხუთის წლის ვადით), ხოლო ვისაც დასაგირავებელი არაფერი გააჩნია, გარდა უმწიკვლო პატიოსნებისა და სალის თავისა, — ვისიმეს თავდებობით.

ჩვენთვის საჭიროა სწორეთ ასეთი ბანკები და დიდი ცოდვაც იქნება ჩვენის მეთაურის წოდებისაგან, რომ დღეს, ასეთის იშვიათის შემთხვევის დროს, მან იგი ფული კვლავ, მხოლოდ ვიწრო წოდებრივს ინტერესებს მოახმაროს. საერო ბანკები კიდევ იმითია განუსაზღვრელად უკეთესი და საჭირო ჩვენთვის, რომ იგი ენით გამოუთქმელს მოძრაობაში მოიყვანს ჩვენის ხალხის ყოველის წოდებისა და საქმის მქონეს და გამოაღვიძებს იმათ, დააკავშირებს და გააერთიანებს. ტყუილად-კი არა სწერდა პროფესორი ბაბსტი: „უმთავრესი დაბრკოლება თანხის სასარგებლოდ ხმარებისა არის ფლანგვა და უპირატესობანი ზოგიერთ კერძო კაცთ და წოდებათაო«... საშუალებანი ამ ბოროტებათა წინააღმდეგ ეს არისო: ბანკების დაარსება და რკინის გზების გაყვანა.

რადგანაც ასეთის ბანკებით სარგებლობა შეუძლიანთ მხოლოდ იმათს წევრებსა, იმის-და-მიხედვით, თუ ვის რამდენი საწევრო ფული აქვს შეტანილი (როგორც, მაგალითად, ტფილისის სამეურნეო ბანკშია, სადაც ყოველის თუმნის შემტანს შეუძლიან ისესხოს ათი თუმანი, ორისას — ოცი თუმანი, ოცისას — ორასი თუმანი და სხვ.), ამიტომ, აწინდელი 600.000 მანეთი, რომელიც ჩვენს შორს-გამჭვრეტ მამებს გამოუზოგნიათ, — ახლო მომავალში ერთი ორად, სამად, ათად და ოცად იქცევა და მაშინ ჩვენს ბედს ხომ ძაღლიც ველარ დაჰყეფს! საჭიროა მხოლოდ დაწყობა, საძირკვლის ჩაყრა, საჭიროა რამდენიმე ათასი თუმანი თითო ასეთის ბანკისათვის, თორემ შემდეგში, როცა დაწესებულება ფესვს გაიდგამს და ფრთებს შეისხამს, ვითარცა დღევანდელი სათავად-აზნაურო ბანკები, მაშინ თავად-აზნაურობას იგი ფული შეუძლიან კვლავ ჩვენის ქვეყნის სხვა, მეორე და მესამე საჭირ-ბოროტო საქმეს მოახმაროს, მაგრამ კვლავ ისე, რომ მისი მოგება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენში სწავლა-განათლების საქმეს მოჰხმარდეს.

სადმე რომ იშოვებოდეს მეორე ისეთი წყარო, საიდგანაც ყოველს მაზრას შეეძლოს, პირველ ათის ანუ ოცის წლის მოქმედებისათვის, ისესხოს საჭირო თანხა არა დიდის სარგებლით (თუნდა 6%), მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ბანკები მცირეს დროს განმავლობაში ყველგან დაარსდებოდა ჩვენში, მაგრამ რა ვუყოთ ჩვენს დღევანდელს ბედ-შაობას და ყოფასა, რომ ასეთი წყარო, თავად-აზნაურთაგან ბანკებში გამოზოგვილ ფულის გარდა, სხვა არ მოკვეძევება და ჩვენც ამიტომ ვიცავთ მის ასეთსა და არა სხვაფრივს მოხმარებას.

რაც შეეხება ვ. წ.—ის მწუხარებას, რომ ჩვენი მსესხებელი რიგიანად ვერ ჰხმარობს ბანკებიდგან გამოტანილს ფულს და ამიტომ საჭიროა „აპეკუნი აგრონომები" დაენიშნოს ყოველს მათგანს, ეს არც ჩემი და არც ვისიმე სხვის საქმეა, რადგანაც ყოველს საქმეში ყველა კაცი თვით უფალია და უფლება აქვს ისე მოიქცეს და მოიხმაროს საკუთარი ფული და ქონება, როგორც თვით იმასა ჰსურს. ფართო თავისუფლება და გაადვილება საჭირო ფულის სესხის საშუალებათა, — აი, ეს არის ჩვენი ერთად-ერთი საზრუნავი და არა ყოვლად დამღუპავის შეზღუდვისა და ობსკურანტიზმის ქადაგება.

ივანე როსტომაშვილი

## სასამართლოს მატიანე

ვერელ მემამულეთა საქმე.

გუშინ, 28 იანვარს, პირველ მომრიგებელ სასამართლოში ირჩეოდა კიდევ ერთი საქმე ვერელ მოიჯარადრეთა შესახებ. ბ-ნნი მელვინოვი და ცაბაძე უჩიოდნენ ალექსი გიორგობიანის ქვრივს, რომ განსვენებული გიორგობიანი მეიჯარადრე იყო ნიკოლოოზ თამამშოვისა, რომლისაგანაც ჩვენ შევიძინეთ ვერის ადგილებიო, და სთხოვდა, ძალა დაატანეთ, რომ ქოხი აჰყაროს ქვრივმაო. დავა 10 მან. იყო დაფასებული. გიორგობიანის ვექილმა განაცხადა, რომ 10 მან. განგებ არის დაფასებული, რათა საშუალება მოგვესპოს უმაღლესს სასამართლოში აპელაციის წესით განსაჩივრება საქმისაო. რაც უნდა უბრალო ქოხი იყოს, მაინც იგი 10 მან. მეტი ეღირება, მით უმეტეს, რომ ამ ქოხში სცხოვრობენო. სთხოვდა დავის ფასად აღენიშნა 2,000 მან., ხოლო, თუ ეს ბევრია, ყოველ შემთხვევაში 100 მან. მეტიო. ვექილისავე აზრით, მამული ხანგრძლივის ვადით ყოვლად დამოუკიდებელ მფლობელობისა გამო უკვე გეორგობიანის საკუთრებად არის გარდაქმნილი და მელვინოვსა და ცაბაძეს არავითარი უფლება არა ჰქონდათ დავა აეტეხათ ამ მამულის გამოო. დასასრულ ვექილმა სთხოვა, რომ მოდავეთა საჩივარი უკანონოდ იცანით და უარი განუცხადეთ, იმათვე მიაწერეთ სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯიო.

მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწემ ქართველიშვილმა ჩამოართვა ჩვენება მოწმეებს — სამს მოდავეებისას და ორს მოპასუხისას. მოდავეთა მოწმენი დიდად სიტყვა-არევით ჰლაპარაკობდნენ და განაცხადეს, რომ ალექსი გიორგობიანი სიცოცხლის დროს იჯარის ფულს აძლევდა თამამშოვს, ცაბაძე (ერთი მოდავეთაგანი) დუქანში შეჰყრიდა ხოლმე ვერის მამულებზედ დასახლებულთ და იქ უსწორებდა ანგარიშს. თვით ნიკოლოოზ თამამშოვი რვა წლის წინად გარდაიცვალა. ხოლო ის გარემოება-კი, თუ როდის მისცა უკანასკნელად გიორგობიანმა საიჯარადრო ფული თამამშოვს, არ გვახსოვსო. მოპასუხის ორმა მოწამემ განაცხადეს, რომ ალექსი გიორგობიანი ოცს წელიწადზედ მეტია ჰფლობს მაგ მამულს სხვათა დამოუკიდებლად და იჯარის ფული არასოდეს არ უძლევიაო.

მოწმეთაგან ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ გიორგობიანის ქვრივის ვექილმა სთხოვა, რომ მოდავეთა საჩივარი უარ-ყოფილ უნდა იქმნას იმ მიზეზითაც, რომ იმათ თავიანთი დავა ვერ დაამტკიცეს. მოწმეებმა ვერ დაასაბუთეს, რომ ნიკოლოოზ თამამშოვის სიცოცხლის უკანასკნელს ორს წელიწადს გიორგობიანს იჯარის ფული გარდაეხადნოს. ხოლო რაკი ეს გარემოება დასაბუთებული არ არის და, ამას გარდა, ისიც ვიცით, რომ თამამშოვი სიკვდილს შემდეგ რვა წელიწადია გასული, აშკარაა, რომ გიორგობიანს ათ წელიწადზედ მეტი უფლობელნია სადავო მიწით სხვათა დამოუკიდებლად და ეს მფლობელობა საკუთრებად არის გარდაქცეულიო.

მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწემ საქმე გადასდო გარდაწყვეტილების დასადგენად.

იაგორ შაუმოვის საქმე

ოთხშაბათს, 27 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე იაგორ შაუმოვისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ 1898 წლის 17 ოქტომბერს მოვიდა ე. ტერ-სიმონიანცის მაღაზიაში, სადაც წინად თითონ ნოქრად ჰმსახურებდა, ორჯელ გაისროლა რევოლვერი გამძვინარების დროს და დაჰჭრა მაღაზიის პატრონი და იმისი ძმა დ. ტერ-სიმონიანცი.

ოლქის სასამართლომ იაგორ შაუმოვს სამის წლით პატიმართა რაზმში გაგზავნა გარდაუწყვიტა.

—

ძვირფასი ნივთების მოპარვა.

ტფილისის მაზრის გლეხს იოსებ ტიმოშვილსა და ტფილისის მოხარკე ისაკა მარტიროსის ძე ტერ-აბრამოვს ჰბრალდებოდათ—პირველს—ნინა ხოსროევის სახლიდგან ძვირფასის ნივთების მოპარვა და მეორეს—ამ ნივთების მიღება ტიმოშვილისაგან. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, 19 მაისს 1898 წელს ტიმოშვილი გადასულიყო ფანჯრით ქ-ნ ხოსროევის სახლში და კამოდიდგან ამოეღო ის ნივთები. თუმცა ხოსროევისას ვერ ეცნო დამნაშავე, მაგრამ იმის ნაცნობებს გუმანი ტიმოშვილზე მიეტანათ, რადგანაც ტიმოშვილი უსაქმოთ იყო და ხშირად საქვოთ დაიარებოდა ხოსროევის სახლის ახლო-მახლო. მოულოდნელად შეპყრობილი ტიმოშვილი იმ დროს, როდესაც სალამოთი იგი და ტერ-აბრამოვი ერთად ლაპარაკობდნენ, მაშინვე გამოტყდა, მე მოვიპარე ქ-ნ ხოსროევის ნივთები და ამ ტერ-აბრამოვს გადავეციო. ტერ-აბრამოვი უარზე დადგა. სასამართლოში ყველა ეს გარემოებანი დამტკიცდა მოწმების ჩვენებით, თუმცა ორივე ბრალდებული უარსა ჰყოფდნენ თავისს დანაშაულებას. სასამართლომ დაადგინა: ბრალდებული იოსებ ტიმოშვილი (19 წლისა) 8 თვით დაპატიმრებულ იქმნას ციხეში და ბრალდებული ტერ-აბრამოვი—ერთის თვით დატუსაღდეს პოლიციის საპატიმროში.

—

გუშინ ამავე სასამართლოში დაიწყო გარჩევა ტერ-ოჰანეზოვის საქმისა, რომელსაც ჰბრალდება მამის მოკვლა. დაბარებული იყო 59 მოწმე, რომელთა შორის გამოცხადდა მხოლოდ 53 მოწმე. გუშინ სასამართლომ მხოლოდ სამს მოწმეს ჩამოართვა ჩვენება და საქმის გარჩევა, სალამოსთვის გადასდვა. როგორცა სჩანს, საქმე რამდენსამე დღე გასტანს. სასამართლოს თავჯდომარეობს ბ. პარჩევსკი, წევრად არიან ბ-ნნი პადალკო და როჟდესტვენსკი, ბრალსა სდებს ტფ. ოლქ. სასამართ. ბრალმდებლის ამხანაგი ჯალალოვი და ბრალდებულს იცავს ნაფიცი ვექილი გ. ს. ტერ-სტეფანოვი. შემდეგს ამა საქმისას თავისს დროზედ დავბეჭდავთ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟში გარდაიცვალა 88 წლის დრამატურგი ადოლფ ენერი, რომელმაც მარტო თვისის კალმით შეიძინა 10 მილიონი ფრანკი. ენერი სწერდა პიესებს თეატრებისათვის 1831 წლიდგან 1894 წლამდე. ენერის მრავალი თანამშრომელი ჰყავდა. თითონ ამბობს, რომ პიესების დაწერაში სულ ცოტა სამოცი კაცი მაინც დამხმარებიაო. ენერი პიესებსა სწერდა მხოლოდ სახალხო თეატრებისათვის, რამდენჯერა სცადა დიდ თეატრებისათვის პიესის დაწერა, მაგრამ არსად არ მიიღეს. სხვათა შორის 1885 წელს დასწერა ერთი პიესა „L'amour" და წარუდგინა „Vaudeville"-ს თეატრს, მაგრამ აქ არ მიიღეს.

* * *

კონსტანტინეპოლის მეურნეთა საზოგადოებაში წაიკითხა მოხსენება მეურნემა მენაჰემ გოდარმა. მოხსენება სასიხარულო უნდა იყოს მელოტებისათვის. გოდარი ამტკიცებს, შესაძლებელია მელოტს კაცს თმა მავუყვანოო. გოდარის მიერ გამოგონილი საშუალება ძლიერ წააგავს ხეხილის მყნობას. აი როგორია ეს საშუალება. გოდარი გასჭრის ხოლმე ერთ ალაგას თავის კანს და შიგ ჩასვამს თმას. ჭრილობა მორჩება და თმა ამოვა. მაგრამ საქმე ის არის, რომ რამდენი შრომაა საჭირო მკურნალისთვის, რომ თმა დასთესოს; ან აიტანს თუ არა მელოტი კაცი ამდენს ტანჯვას. ყველამ კარგად იცის, რომ ადამიანს თავზე სულ ცოტა რამდენიმე მილიონი თმა აქვს. მიუხედავად ამისა, გოდარი მაინც აცხადებს ამ საშუალებას და ამბობს, ეს საქმე იმდენად საყურადღებოა, რომ მაინც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვუწყო მკურნალებსაო.

## საბა-სულხან ორბელიანის სწავლა-მოძღვრებანი

„სწავლანი, თქმულნი სულხან საბა ორბელიანისა მიერ. ვინც მისი სახელი აღმოხოცოს ამ წიგნიდამ, წყეულ იყოს უკუნისამდე".

ამ სათაურით ამ ორიოდე კვირის წინ ჩამოიტანა მღ. ზ. დავიდაშვილმა ყ-დ სამღვდელო ლეონიდთან ხუცური ხელნაწერი, სრულიად 708 გვ. თითო გვერზედ 13 სტრიქონია. სიგრძით 4 და სიგანით 3 გოჯი. დაწერილია იგი მოსკოვში 1729 წ. ამ სწავლა-მოძღვრებათა კვლავ აღგვიდგინა ცხადი წარმოდგენა ჩვენის ძველის სამღვდელოების დიდის გავლენისა ერზედ; კვლავ დაგვიმტკიცა, რომ სამშობლო სარბიელზედ მომზადებული და აღზრდილი მწყემსი სხვა ყოფილა და უცხო ენაზედ გაწრთვნილი სხვა. აი სია სწავლა-მოძღვრებათა:

1. სწავლა ეკლესიისათვის, თუ რაჲ არს შეკრება მუნ. 1—21 გვ.
2. მისივე საბა ორბელიანისა, სწავლა ეკლესიასა შინა დუმილისათვის, 21—36 გვ.
3. სწავლა ეკლესიასა შინა დუმილისათვის, მეორე. მისვე საბა ორბელიანის მიერ. 36—59 გვ.
4. სწავლა ალსარებისათვის. თქმული მისვე სულხან საბა ორბელიანისა 59—77 გვ.
5. სწავლა წ~ისა ზიარებისათვის. თქმული... 78—100. გვ.
6. სწავლა შობის წინა კვირიაკესა მამათ მთავართა და მოთმინებისათვის 101—115 გ.
7. სწავლა შობისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი—სიმდაბლისათვის. 115—130 გვ.
8. სწავლა საუკუნესა ზედა შიშისა. 130—151 გვ.
9. სწავლა ჯოჯოხეთის სატანჯველისათვის 151—171 გვ.
10. სწავლა მეორედ მოსვლისათვის ქრისტესა. 171—186 გვ.
11. სწავლა აღდგომისათვის მკვდართასა. 186—207 გვ.
12. სწავლა სიკვდილის დღისათვის. 207—222 გვ.
13. სწავლა უდროოდ და ურგებად სინანულისათვის. 222—240 გვ.
14. სწავლა სიყვარულისათვის. 240—259 გვ.
15. სწავლა გლახაკთ მოწყალებისათვის. 259—274 გვ.
16. სწავლა უცხოთ მოყვარებისათვის და ვნებისათვის უფლისა. 274—292 გვ.
18. სწავლა სტუმართ მოყვარეობისათვის ელიაობასა 292—305 გვ
18. სწავლა ვეცხლის მოყვარებისათვის. 306—320 გვ.
19. სწავლა უთმინოებისათვის. 320—330 გვ.
20. სწავლა ურჩებისათვის, მარხვისა. 331—344 გვ.
21. სწავლა მრისხანებისათვის. 345—356 გვ.
22. სწავლა მაგინებელთათვის. 356—370 გვ.
23. სწავლა სნეულთა მიხედვისათვის. 370—380 გვ.
24. სწავლა სიმშვიდისათვის. 380—391 გ.
25. სწავლა ქრისტეს ვნებისათვის და გლო[illegible] სულის 391—411 გვ.
26. სწავლა ვნებისათვის უფლისა და ადამის თანადების გარდახდისათვის 411—424 გვ.
27. სწავლა ბზობას ამ სოფლის დიდების სიცუდისათვის 424—441 გვ.
28. სწავლა ვნებისათვის უფლისა და იოსების განსყიდვისათვის, და ურგების სავაჭროსათვის 441—456 გვ.
29. სწავლა ფვრხთა საბანლად მიპყრობისათვის და ამპარტავნებისა. 456—469 გ.
30. სწავლა დიდისა ხუთშაბათისა. 469—478 გვ.
31. სწავლა ცოდვასა ზედა დაუდგრომლობისათვის ნაალდგომევს ქადაგება. 478—490 გვ.
32. სწავლა ახალკვირიაკესა ძვირის არა ხსენებისათვის 490—513 გვ.
33. სწავლა სასუფევლის დიდებისათვის. 513—525 გვ.
34. სწავლა ყოვლად წმიდისა ჩვენ ზედა მფარველობისათვის. 525—536 გვ.
35. სწავლა ღვთისა ნიჭისა და ჩვენისა უმადლობისათვის. 536—546 გვ.
36. სწავლა გიორგობის დღისა და ქართველების გიორგობისათვის. 547—560 გვ.
37. სწავლა ნათლის მცემლის შობისათვის. 560—575 გვ.
38. სწავლა წმიდათა მოციქულთა დღესასწაულისა. 576—589 გვ.
39. სწავლა აგვისტოს 6, ფერისცვალებისათვის და საკვირველისა და არა საკვირველისა მოსეს და ელიას მიერ თქმულთათვის. 589—599 გვ.
40. აგვისტოს 15, სწავლა მიცვალებულებისათვის ყოვლად წმიდისა ღვთის მშობელსა და მარადის ქალწულისა მარიამისა. 599—614. გვ.
41. სწავლა სიმთვრალისათვის და ნათლის მცემელის თავის კვეთისათვის, 614—628 გვ.
42. სწავლა თავის პოვნისათვის ნათლისმცემლისა, უკეთუ თევდორობა იყოს. 628—643 გვ.
43. სწავლა უდაბნოს მყოფთა თანა მისლვისათვის და მათთა ნუგეშინის მცემელთათვის ქება. 643—653 გვ.
44. სწავლა მწყემსისათვის და სამწყსოსა დამწყსისათვის 653—668 გვ.
45. სწავლა სიმთვრალისათვის, 669—692 გვ.
46. სწავლა ზვაობისაგან დაბნელებისა და სასუფეველისაგან დაცემისა 692—706 გვ.

საბა დაიბადა 1659 წ. 24 ოკტომბერს კვირა სალამოს. აღზარდა და ცხოვრების გზაზედ დააყენა მეფე გიორგიმ (1678—1709 წ.) საბა იყო ძე მდივან-ბეგის ვახტანგისა. ამისი სახელოვანი ძმა ნიკოლოზ მროველი (ტფილელი) აღზარდა კათალიკოზმა ნიკოლოზ ამილახვარმა. ერობაში სულხანს—საბას ჰყავდა ცოლად ათაბაგის ხალიფაშას ქალი თამარ. შემდეგ დაქვრივებისა ბერად შედგა. მოიარა ევროპა, ოსმალეთი, სპარსეთი და სხ. აღწერა წიგნნი: „სიბრძნე-სიცრუისა", ლექსიკონი და სხ. მრავალნი. 1724 წ. სამოც-და-ხუთის წლის მოხუცი საბა გაჰყვა ვახტანგ VI რუსეთში სამის ძმითა და ორის ძმისწულით; ამისი ძმები იყვნენ—ნიკოლოზ ტფილელი, ერასტი და ზაალი; ძმის-წულები: ელისბარ და ვახტანგ. საბას ძმა ზაალი ბერად შედგა და სახელად ეწოდა ზოსიმე, რომელსაც აღუწერია მოსკოვში 1729 წ. საბას „სწავლა-მოძღვრებანი". საბა მიიცვალა მოსკოვში 1725 წ. 26 იანვარს „მწუხრსა სესვენცვას", ე. ი. ვსესვიატსკის, არჩილ მეფის სასახლეში და დასაფლავდა იქვე საყდარში. ჩვენ ვეცდებით რამდენიმე ნიმუში დავბეჭდოთ საბას „სწავლა-მოძღვრებათაგან", რომელნიც შეადგენენ უცილობელს საგანძურს საქართველოს ეკკლესიის სამღვდელოებისათვის.

აი წარწერა ხელნაწერის ბოლოში:

„აღიწერა სულთა განმანათლებელი წიგნი ესე თეთრს რუსეთს ღვთისაგან კურთხეულს სამეუფოსა ქალაქსა დიდსა მოსკოვს: კელითა ჩემ ცოდვილისა ზოსიმე ორბელიანის და თვით ორბელის ძისათა: უფალნო მამანო და ძმანო, განიხილეთ კეთი და კაბადონი ამა წიგნისა ვითარ უშვერად და უგვანად აღწერილ არს. რომელნიმე სხვილნი რომელნიმე წვრილნი, სხვაგან აღმოფხეკილნი, სხვაგან ტრიქონთა განუწყობლობა: [illegible] ლი ცსე ჩემი: ავ თვალადი და ფრიად უმეტეს აქტანადი. ორისავე გოჯითა მკელობელი და უმეტეს ავგული და ყოვლითა ცოდვითა აღსავსე. და უფრორე მრისხანე და ყოვლით ალოთ და ნაწევრით, სრულიად ავ ვყავ:. ვინათგან უფ ლი სიყვარულსა ბრძანებს და პავლე ურთიერთარს ჰირისა ტვირთვასა. არა სიყვარულისა ჩემისათვის არამედ მცნებისათვის უფლისა და ქადაგებისათვის პავლესა: ამა სწავლების მთქმელისათვის შენდობას ბრძანებდეთ: და გარდამოცვივნებულისა ნაბიჭევისაგან მცირე რაჲმე ლოცვა მეცა მახუმინეთ. ვითარცა ტაბლათა დანაბერტყთა რაჲ ხუდეს ძაღლთა მუნათა: ნუთუ უფალმან შეისმინოს სიყვარულით მონიჭებული წყალობა თქვენი და ცოდვათა ჩვენთა ტვირთსა მცირედი თითთა-თქვენთა მიერი შეწევნა სარგებელ გვექმნეს. რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცვა მართლისა. და თქვენცა ნაცვალსა მიმღებელ იქმნეთ უფლისა მიერ;. ჩღვთ:. ნოენბერს Ც:.

ურიგო არ იქმნებოდა რომელსამე შთამომავალს დიდის ორბელიანებისას ეთავნა ამ ძვირფასი ხელნაწერის დაბეჭდვა და დაენახვებინა ქვეყნისათვის, თუ რა მქადაგებელნი ჰყოლია ძველად ქართველ ერსა და რამდენი გონებრივი სიმდიდრე გვაქვს ჯერ უცნობი და შეუსწავლელი. „სწავლა-მოძღვრებანი" საბასი წარმოთქმულია მართლმადიდებლობაში.

ანჩის-ხატის ტაძრის მღ. პ. კარბელაშვილი

## დეპეშა

27 იანვარი.

**მანილია.** აგვინალდომ პროკლამაცია გამოსცა, რომლითაც ამერიკელებს ომს უცხადებს.

**მადრიდი.** დედოფალმა ბძანება გამოსცა, რომლითაც იწვევს კორტესებს 8 თებერვლისთვის.

**ლონდონი.** მარკიზმა სოლსბერიმ სთქვა: „არავის არა აქვს ეჭვი, რომ რუსეთის ხელმწიფეს მხოლოდ საკეთილო განზრახვა ჰქონდა, როდესაც მშვიდობიანობის მანიფესტი გამოსცა. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა მივბაძოთ სხვა სახელმწიფოებს და მზად უნდა ვიყვნეთ საომრადო. შემდეგ პალატის კრება გადადებულ იქმნა.


## განცხადებანი

**მასწავლებელ ქალთა სკოლაში**

(ნაგორნის და გუდოვიჩის ქუჩების კუთხე № 12) შეიძლება კიდევ მიღება ყვაწვილებისა როგორც საზოგადოდ სკოლაში, აგრეთვე **ქართულ** და **სომხურ** განყოფილებაში.

სწავლის ფასი ამ ორს უკანასკნელ განყოფილებაში თვეში 6 მან.

(5—უ.—1)

ახლად დაიბეჭდა ღ ისყიდება

ცხოვრება ქართველთა განმანათლებელის წმ. **ნინოსი**

გადმოღებული ქართულიდამვე მდაბიურად მ. შარაძის მიერ, გამოცემული მორჩილის რაჟდენ ბარამიძისაგან.

ფასი ერთი შაური.




(3—3.—3)

# ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 Г.

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ

# Кавказское Сельское Хозяйство,

органъ Императорскаго Кавказскаго общества сельскаго хозяйства. Газета выходитъ по четвергамъ, безъ предварительной цензуры, ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, виноградарству и винодѣлію, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоры литературы, русской и иностранной, по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6. Сельско-хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельско-хоз. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифи. 7. Правительственныя распоряженія. 8. Протоколы, доклады и отчеты общества и его органовъ. 9. Критика и библіографія. 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельско-хозяйственный календарь. 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія.

ЗАДАЧА ГАЗЕТЫ заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между обществомъ сельскаго хозяйства и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельско-хозяйственныхъ вопросовъ Кавказа и во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельско-хозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ „Вопросы и отвѣты" газета, при содѣйствіи специалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или общество сельскаго хозяйства.

**Подписная цѣна съ доставкой и пересылкой:** на годъ—4 руб., полгода—2 руб., 1/4 года—1 руб. и 1 мѣсяцъ—40 к.

**Подписка принимается** въ Тифлисѣ въ бюро Импер. Кавк. общ. сел. хоз., Барятинская ул., собственный домъ.

Отвѣтственный редакторъ А. А. Калантаръ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 28 го Января 1899 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე